სსიპ. დაცული ტერიტორიების სააგენტოს ანგარიში

2014

APA 2014

1. დაგეგმვისა და განვითარების სამსახური

კანონაღსრულება და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

- დაცული ტერიტორიების სისტემაში დაცული ტერიტორიების სააგენტო მართავს 364030 ჰა ტერიტორიას, სადაც დაცვის სამსახურში დასაქმებულია 272 თანამშრომელი, მათ შორის 255 რეინჯერი და უფროსი რეინჯერი. რეინჯერებზე სამართავად მოდის საშუალოდ 1428 ჰა ტერიტორია.
- საანგარიშო პერიოდში ადმინისტრაციის მიერ ჩატარებულია 2081 საკონტროლო რეიდი. გაკეთდა 23402-ჯერ ჩატარდა პატრულირება (მათ შორის ფეხით, ცხენით, ავტომანქანით, წყლის ტრანსპორტი) და პატრულირების დროს გავლილმა საშუალო მანძილმა შეადგინა 1137541კმ, მათ შორის, ფეხით - 336479კმ; ცხენით - 159157კმ, ავტოტრანსპორტით - 633405კმ წყლის ტრანსპორტით -8500კმ. აღნიშნულის შესაბამისად დაცვის სამსახურის თანამშრომლები ფეხითა და სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებით ყოველდღიურად საშუალოდ გადის 16კმ.
- საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე 2014 წლის 12 თვის მონაცემებით გამოვლენილი და სამართალდამცავ ორგანოებზე გადაცემულია 338 სამართალდარღვევის ფაქტი მათ შორის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 357 ფაქტი და 1 სისხლის სამართლის ნიშნების მქონე ფაქტი.
- გამოვლენილი ფაქტები სამართალდარღვევების მიხედვით შემდეგია 1 უკანონო თევზაობა, 118 - უკანონო ჭრა, 7 უკანონო ნადირობა, 80 უკანონო ძოვება, 62 - ნადიროების წესების დარღვევა, 12 - თევზაობის წესების დარღვევა, 58 - სხვადასხვა სამართალდაღვევა. 12 თვის განმავლობაში დამნაშავებზე გამოვლინდა 472,22,8 მ³-ზე, უკანონო ჭრა. 2013 წელთან შედარებით გამოვლენილი სამართალდარღვევების რაოდენობა 2014 წელს შემცირდა 119 ერთეულით.



- ყველაზე მეტი გამოვლენილი სასამართლოზე გადაცემული უკანონო ქმედებები დაფიქსირდა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში, სადაც დაფიქსირდა გამოვლენილი 81 სამართალდარღვევის ფაქტი. უკანონოდ მოჭრილი ყველაზე მეტი 216,8მ³-ის მოცულობის ხე-ტყე დამრღვევებზე გამოვლინდა ბორჯომ- ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე. შემდგომ

მოდის ჭაჭუნას აღკვეთილის ადმინისტრაცია, სადაც გამოვლენილი იქნა 44 სამართალდარღვევის ფაქტი.

- უკანონო ქმედებები არ გამოვლენილა ყაზბეგის, თუშეთის და იმერეთის მღვიმეთა კომპლექსის დაცულ ტერიტორიებზე.



- დაცული ტერიტორიებზე 2013 წლის 12 თვის მდგომარეობით დაფიქსირდა ხანძრების 13 შემთხვევა, ბორჯომის, ჭაჭუნის, ალგეთისა და ვაშლოვანის (10ჯერ) დაცულ ტერიტორიებზე, სადაც ხანძრის კერები რეინჯერების ოპერატიული ქმედებების შედეგად იქნა ჩამქრალი 2560 - ჰექტარ ფართობზე. ხანძრის შედეგად ძირითადად დაიწვა ხმელი ბალახი. ხანძრების შედეგად გარემოზე მიყენებული ზიანი არ დაფიქსირებულა.



ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

- ადგილობრივი მოსახლეობის ხე-ტყით უზრუნველყოფის მიზნით 2013-2014 წელისათვის გამოყოფილი იყო 25850 m^3-ზე ხე-ტყე. აღნიშნული ხე-ტყიდან 12 თვის მონაცემებით ადგილობრივ მოსახლეობაზე გაცემულია 16930 m^3-ზე მეორე ხარისხის (საშეშე) ხე-ტყე გაიცა. აღნიშნული ხე-ტყით, საშუალოდ ისარგებლა 3390 ოჯახმა, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოთ ჩაირიცხა დაახლოებით 50790 ლარის თანხა.

სამეცნიერო კვლევა/მონიტორინგი

საქართველოში ბიომრავალფეროვნებისა და არსებული გენეტიკური რესურსის დაცვა, შემდგომი თაობებისათვის გადაცემა, შენარჩუნება, ბუნებრივი რესურსების სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა და მონიტორინგი, წარმოადგენს დაცული ტერიტორიების დაარსების ძირითად მიზნებს და დღესდღეობით ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა დაგეგმილ საქმიანობებს შორის. ბიომრავალფეროვნების შესახებ მონაცემების შეგროვება მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის, რათა არსებობდეს ინფორმაცია გენეტიკური რესურსის იმ დაცულ ნაწილზე. რომლის შენარჩუნების პასუხისმგებლობა აკისრია სახელმწიფოს.

- სამეცნიერო კვლევა/მონიტორინგს დაცულ ტერიტორიებზე აწარმოებენ დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციები და სხვადასხვა სამეცნიერო ჯგუფები. ამ მიმართულებით განხორციელებულია შემდეგი საქმიანობები:
  სააგენტოს მიერ მუდმივად წარმოებს არსებული ბუნებრივი რესურსის რიცხოვნობის შესახებ მონაცემების შეგროვება, რათა ზოგადი წარმოდგენა შეგვექმნას არსებული რესურსის შესახებ, ასევე მათი ზრდისა და კლების ტენდენციებზე. სააგენტომ 2013 წლის განმავლობაში მოახდინა ტერიტორიული ადმინისტრაციების მიერ შეგროვილი და მოწოდებული ინფორმაციის დამუშავება, ანალიზი და ერთიანი მონაცემების მომზადება ფლორისა და ფაუნის რიცხოვნობის შესახებ. მთლიანი ინფორმაცია მიწოდებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისათვის. ეს მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:



სურ. საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე გავრცელებული ცხოველების რიცხოვნობა 2014 წლის იანვრის თვის მონაცემებით.



სურ. საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე გავრცელებული ფრინველების რიცხოვნობა 2014 წლის იანვრის თვის მონაცემებით.

- დაცული ტერიტორიების სააგენტოსათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს საქართველოს "წითელი ნუსხა"-ში შეტანილი სახეობების მონიტორინგი და მასალების მომზადება. ლაგოდეხისა და თუშეთის დაცული ტერიტორიების, თბილისისა და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციები ირმის „მყვირალობის" დროს ატარებენ ირმების აღრიცხვასა და მონიტორინგს. მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მომზადდა კეთილშობილი ირემის რიცხოვნობისა დინამიკა და მომზადდა ერთიანი ანგარიში. აღსანიშნავია, რომ ირმის ყველაზე დიდი

პოპულაციები საქართველოში გვხვდება ლაგოდეხისა და ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიებზე. მომცრო ზომის პოპულაციები ასევე გვხვდება თბილისის ეროვნულ პარკსა და გარდაბანში, ხოლო გასული 3 წლის განმავლობაში ირმის მოზრდილი ჯოგის გადაადგილება დაფიქსირდა თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე, სადაც უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ირემი არ დაფიქსირებულა.

- ბორჯომ-ხარაგაული ეროვნულ პარკში აღრიცხული იქნა 312 ირემი, მათგან 212 ნაკრძალში, ხოლო 100 ეროვნული პარკის ტერიტორიაზე.



ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე გამოვლინდა ირმის 300 ინდივიდი.



თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე ფიქსირდება ირმის 18 ინდივიდი, ხოლო მათი დღე-ღამური აქტივობა ივნისი-ივლისის თვეებში გამოიყურება შემდეგი სახით.



რაც შეეხება თბილისის ეროვნული პარკისა და გარდაბნის აღკვეთილს, აღნიშნულ ტერიტორიაზე ფიქსირდება ირმის ერთეული ეგზემპლარები, რაც საერთო ჯამში 10 ინდივიდს არ აჭარბებს. ადმინისტრაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მომზადებულია ყოველთვიური მონიტორინგის ანგარიშები ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე რეინტროდუცირებული ჯეირნებისა და ბორჯომ-ხარაგაულში რეინტროდუცირებული ნიამორების შესახებ.

2013 წელს WWF-ის დახმარებით განხორციელდა აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან ჯეირნის რეინტროდუქცია. ამ ჯერზე გამოიყვანეს რეინტროდუქციის სხვა მეთოდი - ინდივიდები პირდაპირ ველზე გაუშვეს. 2 მათგანს მიმაგრებული აქვს სატელიტური საყელო, რომელიც იძლევა საშუალებას მათი გადაადგილების ტრაექტორიის კომპიუტერში ასახვას და მონიტორინგის წარმოებას. დრევანდელი მონაცემებით ორიდან ერთ-ერთი კვლავ ვაშლოვანის ტერიტორიაზეა, მეორე კი შეჭმეს მტაცებლებმა.ადმინისტრაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მომზადებულია ყოველთვიური მონიტორინგის ანგარიშები ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე რეინტროდუცირებული ჯეირნებისა და ბორჯომ-ხარაგაულში რეინტროდუცირებული ნიამორების შესახებ.

- ნიამორი - ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში ნიამორის ვოლიერში აღირიცხება ნიამორის 6 ინდივიდი, შორის 3 მამალი და 3 დედალი.დაწესებული აქვთ 24 საათიანი მორიგეობა, დღეგამოშვებით ნიამორებზე მეთვალყურეობისა და მათი მოვლის მიზნით. მათ მიერ ყოველდღიურად ხდება ვოლიერის დასუფთავება და დღეში სამჯერადად საკვების მიწოდება.
- მომზადებულია საქართველოს დაცული ტერიტორიებზე განხორციელებული კვლევების გრაფიკული გამოსახულება. სააგენტოს მწირი დაფინანსების გამო ვერ ხორციელდება საკუთრივ სამეცნიერო კვლევები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო დაცულ ტერიტორიებზე მხარს უჭერდა და ხელს უწყობდა სხვა კვლევითი ორგანიზაციების მიერ სამეცნიერო პროექტებისა და კვლევების განხორციელებას. 2000-2014 წლებში საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე განხორციელებული კვლევები რაოდენობის მიხედვით არის შემდეგი.



დაცულ ტერიტორიებზე ჩატარებული სამეცნიერო კვლევების სტატისტიკა 2000 -2014 წწ.

ანალიზი: აღნიშნული გრაფიკიდან ჩანს, რომ სამეცნიერო კვლევების რაოდენობის მიხედვით მათი მაქსიმალური მაჩვენებელი 2014 წელს გამოვლინდა, ხოლო შემდგომ ეტაპებზე გარკვეული კანონზომიერებით იკლო. სამეცნიერო კვლევების დარგების მიხედვით პროცენტული მაჩვენებელი ცხადყოფს, რომ ზოოლოგიურ და ბოტანიკურ კვლევებს უკავიათ დომინანტი მდგომარეობა.



სამეცნიერო კვლევების დარგების მიხედვით პროცენტული მაჩვენებელი ბოლო 14 წლის განმავლობაში

- 2014 წლის 13 მარტს ავსტრიაში, ქალაქ ვენაში გამართულ ტყის დაცვის ინსტიტუტის ფედერალური ტყის კვლევისა და ტრენინგ ცენტრში გამართულ შეხვედრაში,სადაც მონაწილეობას იღებდნენ დაახლოებით 40 -მდე ქვეყნის სპეციალისტები, მიღებული იქნა მონაწილეობა და გაკეთდა პრეზენტაცია თემაზე „საქართველოს დაცულ ტერიტორიაზე გავრცელებული მავნე მწერები და სოკოები“.
- მონაწილეობა იქნა მიღებული 2014 წლის მარტის თვეში ავსტრიელი ექსპერტების მიერ დაბა ბაკურიანში ჩატარებულ სატყეო სააგენტოს რეინჯერების და ტყის დაცვის განყოფილების სპეციალისტებისათვის გამართულ ტრენინში, სადაც განხილული იქნა ტყის განსაკუთრებით საშიში მავნე მწერები და მავნებელი სოკოები, რომლებიც შესაძლებელია შეგვხვდეს ტყის ეკოსისტემებში.ტრენინგზე განხილული იქნა მცირე ზომის სარკვევი რეინჯერებისათვის.
- აპრილში საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს სააქტო დარბაზში სატყეო პოლიტიკის სამსახურის მიერ ორგანიზებული შეხვედრაზე გაკეთდა პრეზენტაცია „საქართველოს დაცულ ტერიტორიეუბზე კოლხური ბზის დაავადების გავრცელება“, სადაც განხილული იქნა სააგენტოს ხელთ არსებული მასალები და ბზის სიდამწვრის პირვანდელი ფაქტები და სააგენტოს მცდელობა

აღნიშნული საკითხის მოგვარების მიზნით. შემდგომ პერიოდში აქტიურად მიეწოდებოდა ინფორმაცია კოლხური ბზის გადასარჩენად ახალი სტრატეგიული გეგმის შესამუშავებლად.

- თბილისის ეროვნული პარკის ფიჭვნარებში მოსწავლეებისა და ეროვნული პარკის რეინჯერებისა და რესურსების სპეციალისტებისათვის ჩატარდა პრაქტიკული მეცადინეობა ფერომონების საკიდების დაკიდება დაახლოებით 50 ჰა ფიჭვნარ კორომებში, სადაც დაიკიდა 2 სახეობის ფერომონი აკუვიტი და იპსოვიტი.

ფერომონების მომზადება, დასაკიდი ადგილების შერჩევა და მათი დამაგრების პროცესი

- მაისის თვეში განხორციელდა მივლინება თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე, სადაც ფიჭვნარებში დაკიდებული იქნა ფერომონების საჭერები, სადაც იპსოვიტი დაიკიდა ორი მავნებლის ფიჭვის დიდი და პატარა მებაღის წინააღმდეგ.

ფერომონების მომზადება და საკიდების დაკიდება ფიჭვნარ ტყეებში

- აჯამეთის აღკვეთილის ფიტოპათოლოგიური გამოკვლევების ანალიზისათვის მზადდება მწერების მთლიანი სია, რომელიც საშუალებას მიცემს მეცნიერებს უმჯობესი ანალიზი გაკეთდეს და გამოვლინდეს ეკოლოგიური კავშირები მავნებელ მწერებსა და სოკოებს შორის და რეალური გამოსავალი მოიძებნოს იმერული მუხის მავნებლის - მუხის დიდი ხარაბუზას შემცირებისა და ენდემური იმერული მუხის გადასარჩენად.
- ამა წლის 25 მაისს მოეწყო შეხვედრა IUCN- ის მიერ დაქირავებულ ექსპერტებთან სააგენტოში , რომელიც ეხებოდა აჯამეთის აღკვეთილის, მტირალას ეროვნული პარკსა და კინტრიშის დაცული ტერიტორიებზე ფიტოპათოლოგიური გამოკვლევების ჩატარებას. ექპერტებს მიეწოდათ მასალა არსებული მდგომარეობის შესახებ მუხნარ და ბზის ეკოსისტემემბის შესახებ. კონსულტაცია გაეწიათ და მომზადდა მასალები ფიტოპათოლოგიური კვლევების ჩასატარებლად. ექსპერტებიოს მიერ საიტების შესწავლისა და რეკოგნოსცირების შემდგომ გაიმართა განმეორებითი შეხვდრა 2 ივლისს, სადაც მოხდა მათი მოსაზრებების გაზიარება და დამატებითი ინფორმაციის მიწოდება

მათი მოთხოვნების შესაბამისად. ასევე დაიგეგმა შემდგომი თანამშრომლობის გზები და მავნებლებთან ბრძოლის შემდგომი ნაბიჯები. მოგვიანებით შემოდგომით გაიმართა კიდევ ერთი შეხვედრა, როდესაც ექსპერტებმა დაცული ტერიტორიების და სატყეო სააგენტოს თანამშრომლებს, ასევე სხვა დაინტერესებულ პირებს გააცნეს შუალედური ანგარიში და ნაწილობრივ მოპოვებული მონაცემები.

- ფოტოხაფანგების დაყენება პირველად მოხდა ვაშლოვანის ეროვნულ პარკში არასამთავრობო ორგანიზაცია NACRES-ის მიერ. მაშინვე დაფიქსირდა ჯიქის არსებოდა დაცულ ტერიტორიაზე. მოცემული შემთხვევის შემდგომ სააგენტომ დამატებით შეიძინა ფოტოხაფანგები ბორჯომ-ხარაგაულის, ლაგოდეხისა და სხვა დაცული ტერიტორიებისათვის. აღნიშნული ფოტოხაფანგები ხელს უწყობს არა მხოლოდ ცხოველების აღრიცხვას, არამედ მათი გავრცელების არეალებისა და სამიგრაციო გზების და ასევე უკანონო ქმედებების გამოვლენას. მიუხედავად იმისა, რომ ფოტოხაფანგების გამოყენებას მრავალი სასიკეთო მხარე აქვს მას აქვს გარკვეული ხარვეზებიც: არ იძლევა სხვადასხვა სახეობების ზუსტი რაოდენობის დადგენის საშუალებას; ასევე ფოტოხაფანგების ელემენტები გამოცვლას და მუდმივ ყურადღებას საჭიროებს, რაც საკმაოდ რთულია მიუვალ ადგილებში დაყენებულ კამერებთან მიმართებაში.
- შეგროვებულია ფოტოხაფანგის საშუალებით მოპოვებული ინფორმაცია, დაცულ ტერიტორიებზე დაფიქსირებული ძუძუმწოვრების მონაცემები:

✓ ალგეთის ეროვნული პარკი - მურა დათვი, მგელი, მელა, ფოცხვერი, შველი, კურდღელი,გარეული ღორი, ციყვი;

✓ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი - ირემი, შველი, არჩვი, გარეული ღორი, მგელი, მურა დათვი, ტყის კატა, ფოცხვერი, კურდღელი;

✓ კინტრიშის დაცული ტერიტორიები - არჩვი, მგელი;

✓ ლაგოდეხის დაცული ტერიტორია - ჯიხვი, კვერნა, შველი;

✓ სათაფლიას სახელმწიფო ნაკრძალი - შველი;

✓ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები - ფოცხვერი, კურდღელი, მგელი, ტურა, ღორი,მაჩვზღარბა, მაჩვი, მელა;

✓ ჭაჭუნას აღკვეთილი - მგელი, მელა, გარეული ღორი.

✓ კოლხეთის ეროვნული პარკი - შველი;

✓ მტირალას ეროვნული პარკი - დათვი, არჩვი, შველი, ციყვი;

✓ თბილისის ეროვნული პარკი - შველი;

✓ თუშეთის დაცული ტერიტორიები - არჩვი, მურა დათვი და ციყვი.

- 2014 წლის ოქტომბრის თვეში მონაწილეობა იქნა მიღებული არასამთავრობო ორგანიზაცია CENN-ის მიერ ორგანიზებულ ტრენინგში ავსტრიაში სატყეო და დაცული ტერიტორიების სექტორში მომუშავე სპეციალისტებისათვის.

- 2014 წლის ნოემბრის თვის დასაწყისში განხორციელდა მივლინება ჩეხეთის რესპუბლიკაში, ქ. ბრნოს სატყეო ინსტიტუტში დაგეგმვისა და განვითარების სამსსახურის სპეციალისტი ხ. წიკლაური და თუშეთის დაცული ტერიტორიების დაცვის უფროსის მიერ სამუშაო გამოცდილების გაზიარებისა და დაცული ტერიტორიების შესახებ სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით. სადაც გაკეთდა მოხსენებები თემაზე "საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემა და მათი ბიომრავალფეროვნება", „საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე გავრცელებული მავნე მწერები", „თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე გამოვლენილი მავნე მწერები და დაგეგმილი ღონისძიებები" და „თუშეთის დაცული ტერიტორიები და მათი ბიომრავალფეროვნება".
- 2014 წლის ნოემბრის თვის ბოლოს განხორციელდა მივლინება ესტონეთში, ნიგულას ეროვნული პარკის ბაზაზე, რომლის მიზანი იყო სამეცნიერო კვლევებისა და მონიტორინგის საქმიანობაში დაგროვილი გამოცდილების გაზიარება ქართველი მხარისათვის, კერძოდ კი დაცული ტერიტორიების სპეციალისტებისათვის. ტრენინგის დროს ესტონელი კოლეგების მიერ გაკეთდა 7 პრეზენტაცია, რომლების ეხებოდა სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებულ სამეცნიერო კვლევებს, დეტალურად იქნა ახსნილი მონიტორინგის ხერხები და მონიტორინგის საჭირო აღჭურვილობა. შემდგომ ეტაპზე მონახულებული იქნა რამსარ საიტები- ჭარბტენიანი ტერიტორიები, სადაც გავეცანით ჭაობების განვითარების ისტორიას, ბიომრავალფეროვნებას, მიმდინარე საკონსერვაციო საქმიანობებს და ვიზიტორთა მონაცემებს.
- მომზადებულია თბილისის ეროვნული პარკის შესახებ საქართველოს ენციკლოპედიისათვის მასალა;
- განხილულია და მომზადებულია ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ჭარბტენიანი ტერიტორიების კონვენციისათვის მასალები;
- სააგენტოში მოეწყო შეხვედრა ქობულეთში სადრენაჟო სისტემის პროექტის განხილვისა და პროექტის კორექტირების საჭიროების შესახებ, სადაც მოწვეულები იყვნენ პროექტის ხელმძღვანელები - სოფლის მეურნეობის სამინისტროს მელიორაციის სამსახურის წარმომადგენლები, მსოფლიო ბანკის პროექტების კოორდინატორი მამუკა გვილავა, არასამთავრობო ორგანიზაცია „ჭაობი"-ს უფროსი იზო მაჭუტაძე და გერმანელი ექსპერტი მათიას კრებსი;
- მონაწილეობა იქნა მიღებული პროექტის „თუშეთის დაცული ტერიტორიების (ინვენტარიზაცია/ტყეთმოწყობა, სამეცნიერო კვლევები, ბრძოლის მეთოდები და სხვა) შესახებ მომზადებაში.
- მომზადდა სამეგრელოს მაღალმთიანეთში დაცული ტერიროების შექმნის შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტი. მომზადდა წერილები დაინტერესებული მხარეების მოწვევისა და აღნიშნული საკითხის შემსწავლელი კომისიის შესაქმნელად.
- ევროდიპლომასათვის მოსამზადებელი სამუშაოებისა და ექსპერტების ვიზიტისათვის მომზადდა მასალები ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების შესახებ.
- ლაგოდეხის და იმერეთის დაცული ტერიტორიების, მტირალას ეროვნული პარკისა და აჯამეთის აღკვეთილის ტერიტორიებისათვის მენეჯმენტის გეგმის შესაქმნელად ბიომარავალფეროვნების,

სამეცნიერო კვლევისა და მონიტორინგის მომზადებული მასალების შემოწმება და დამატებითი ინფორმაციის მიწოდება.

ეკო-განათლება და ინტერპრეტაცია

- ეკოლოგიური განათლება წარმოადგენს მულტიდისციპლინარულ სწავლებას, რომელიც აყალიბებს გარემოსდაცვით შეგნებას, ღირებულებებს და უნარ-ჩვევებს, რომლის საშუალებითაც ადამიანი და მთლიანად საზოგადოება მონაწილეობს გარემოს შენარჩუნებისა და გაუმჯობესების საქმეში. მომავალი თაობების მომზადება და აღჭურვა შესაბამისი გარემოსდაცვითი ცოდნით, უნარ-ჩვევებით და მდგრადი გარემოსდაცვითი დამოკიდებულებებით გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს. ეკოლოგიური განათლება ეხმარება ქვეყნის მოსახლეობას გარემოსდაცვითი და მასთან უშუალოდ დაკავშირებული მდგრადი განვითარების პრობლემების გამოვლენაში, ამ პრობლემების შესწავლაში და მათი გადაჭრის აუცილებელი გზების მოძიებაში.

- 2014 წლის განმავლობაში საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ასამაღლებლად დაცული ტერიტორიების სააგენტოს ორგანიზებით ჩატარდა შეხვედრები, ლექცია-სემინარები, ტრენინგები, ეკო-გაკვეთილები ველზე, დაცულ ტერიტორიებზე მოეწყო ეკო-ტურები და სხვა სახის გარემოსდაცვითი აქტივობები.

- 2014 წლის განმავლობაში დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობაში ჩატარდა სოციოლოგიური გამოკითხვა დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და სოციოლოგიური კვლევის ცენტრის ,,გორბის"-ს მიერ მომზადებული - ,,საზოგადოებრივი აღქმისა და გავლენის მონიტორინგისა და შეფასების კითხვარის საშუალებით".

- საქართველოს დაცული ტერიტორიების დამხმარე ზონის მოსახლეობაში ჩატარებული გამოკითხვა საშუალებას გვაძლევს ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ ძირითად მიმართულებებზე:
  - მოსახლეობის ცნობიერება;
  - მოსახლეობის შიში და მოლოდინი დაცულ ტერიტორიებთან მიმართებაში;
  - სარგებელი და ზარალი;
  - მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი;
  - დაცული ტერიტორიის განვითარების პროცესში, მენეჯმენტის გეგმაში მონაწილეობა, აღიქვამენ თუ არა ისინი, რომ წარმოადგენენ სამენეჯმენტო პროცესის შემადგენელ ნაწილს.
- ალგეთის, აჯამეთის, ბაწარას, ბორჯომ-ხარაგაულის, ვაშლოვანის, თბილისი, თუშეთის, კინტრიშის, კოლხეთის, ლაგოდეხის, მარიამჯვარის, მტირალას, იმერეთის მღვიმეების, ქობულეთის, ყაზბეგის და ჭაჭუნას დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ გამოიკითხა 100 რესპოდენტი. სულ 1600 რესპოდენტი. პასუხები დამუშავდა დაცული ტერიტორიების სააგენტოში.
- 2014 წლის განმავლობაში დაცული ტერიტორიების სააგენტოში ქ. თბილისში 2000-მდე სკოლის მოსწავლეს და სტუდენტს ჩაუტარდა სემინარი საქართველოს დაცული ტერიტორიების და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების მნიშვნელობის თემატიკით.

სურ. სემინარები სკოლის მოსწავლეებთან

- საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ასამაღლებლად და დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციის მიზნით, დაცული ტერიტორიების სააგენტოს ორგანიზებით მოეწყო დაცული ტერიტორიების ფოტო გამოფენა თავისუფალ და აგრარულ უნივერსიტეტებსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც გამოიფინა დაცული ტერიტორიების 100-მდე ფოტო.

www.apa.ge

- 16-22 აპრილს, ცნობიერების ასამაღლებლად და დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციის მიზნით, დაცული ტერიტორიების სააგენტოს ორგანიზებით მოეწყო დაცული ტერიტორიების ფოტო გამოფენა საქართველოს პარლამენტში ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების კანონის მიღების პარალელურად.





სურ. გამოფენა საქართველოს პარლამენტში

- მოსწავლე-ახალგაზრდობის გარემოსდაცვით ღონისძიებებში აქტიურად ჩართვის მიზნით თბილისის ეროვნულ პარკში დაცული ტერიტორიების სააგენტოს ორგანიზებით მოეწყო ღია გაკვეთილი და გამწვანების აქცია, სადაც ჩართული იყო თბილისის 161-ე საჯარო სკოლის 100 მოსწავლე.

- თბილისის ეროვნულ პარკში დაცული ტერიტორიების სააგენტოს ორგანიზებით რეგულარულად ეწყობა გამწვანების და დასუფთავების აქციები, სადაც აქტიურად ჩართული იყო თბილისის თბილისის კერძო სკოლა „ჯეჯილი“ და სსიპ პროფესიული კოლეჯი „მერმისი“.

- 2 თებერვალი მსოფლიო ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვის დღეა. აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოეწყო კონფერენცია ჭარბტენიანი ტერიტორიებთან დაკავშირებით. კვირეულის ფარგლებში საჯარო ლექცია გაიმართა, რომელსაც დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავჯდომარე რატი ჯაფარიძე უძღვებოდა. ლექციაზე სააგენტოს თავმჯდომარემ დაცული ტერიტორიების არსსა და

ფუნქციებზე ისაუბრა; მან ასევე ყურადღება გაამახვილა ჭარბტენიანი ტერიტორიების მნიშვნელობაზე ეკოსისტემების სრულყოფილი ფუნქციონირებისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების თვალსაზრისით. შეხვედრა ინტერაქტიულ რეჟიმში მიმდინარეობდა და დამსწრე სტუდენტებსა და მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღოთ ამომწურავი პასუხი ყველა მათთვის საინტერესო შეკითხვაზე. მსგავსი სახის ლექციები ხელს შეუწყობს გარემოსდაცვითი ცნობიერებისა და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის კულტურის ამაღლებას ახალგაზრდებს შორის.

- სამტრედიის 3 სხვადასხვა საჯარო სკოლის წარჩინებული მოსწავლეებისათვის მოეწყო საგანმანათლებლო ტური და პრომეთეს მღვიმეს ესტუმრნენ. მათ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარემ რატი ჯაფარიძემ უმასპინძლა და პრომეთეს მღვიმე დაათვალიერებინა. ახალგაზრდებს დაცული ტერიტორიების შესახებ ლექციაც ჩაუტარდათ, რომლის დაცვასა და შენარჩუნებაზე სააგენტოს თავმჯდომარემ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა. ტურის მიზანს მოსწავლეების ეკო-საგანმანათლებლო ცნობადობის გაზრდა, დაცული ტერიტორიების პოპულარიზაცია და გარემოს დაცვის სფეროში არსებული გამოწვევების შესახებ ინფორმაციის გაცნობა წარმოადგენდა.

- 2014 წლის 26 მარტი - სემინარი „დაცული ტერიტორიების“ შესახებ ჩატარდა ქ. თბილისის 198-ე საჯარო სკოლაში (ინკლუზიური სკოლა), დაესწრო 27 მოსწავლე. მოსწავლეებმა ნახეს ფილმი ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შესახებ.
- 2014 წლის მარტიდან-მაისის ჩათვლით სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის და სსიპ დაცული ტერიტორიების თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა გარემოსდაცვითი, საგანმანათლებლო პროექტი - „ეკოპროექტი“. პროექტის მიზანი იყო გარემოს დაცვის კუთხით მოსწავლეების ცნობიერების ამაღლება და მათი ჩართვა სხვადასხვა ღონისძიებებში. 13-დან 16-წლამდე სკოლის მოსწავლეებს ჩაუტარდათ სემინარები შემდეგი თემატიკით: ორჰუსის კონვენცია, საქართველოს დაცული ტერიტორიები, ჯანსაღი გარემო.

- 2014 წლის 4 ივნისს, ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებს "SOS ბავშვთა სოფლისა" და ქ. თბილისის შპს არასახელმწიფო საერო საუნივერსიტეტო საშუალო სკოლა "შოვის" მოსწავლეები ეწვივნენ. ვიზიტი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა. ღონისძიების ინიციატორი შოვის ბავშვთა სკოლა და დაცული ტერიტორიების სააგენტო გახლდათ, ხოლო მხარდამჭერი - ნავთობკომპანია „ Gulf Georgia". ვიზიტის ფარგლებში ბავშვები ესტუმრნენ დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას და ვიზიტორთა ცენტრს, ჩაუტარდათ სემინარი გარემოსდაცვით თემაზე და ასევე გაიარეს ეკო-შემეცნებითი ბილიკი.

- 2014 წლის 13-14 ივნისს, არასამთავრობო ორგანიზაციის „ეკოხედვა/Ecovision", გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით და დაცული ტერიტორიების სააგენტოს მხარდაჭერით, ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში ჩატარდა სტუდენტური კონფერენცია „ახალგაზრდები გარემოსთვის". კონფერენცია გაიმართა საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტის SPARE (ენერგიისა და რესურსების გამოყენების საერთაშორისო სასკოლო პროექტი) ფარგლებში. მასში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა უნივერსიტეტის და სპეციალობის 30-მა სტუდენტმა. მონაწილეთა შორის იყვნენ ისეთი ფაკულტეტების სტუდენტები, როგორიცაა: ეკოლოგია, არქიტექტურა, სამსახიობო, სახვითი ხელოვნება, არქეოლოგია, ჟურნალისტიკა, იურიდიული და ა.შ. სტუდენტებმა წარმოადგინეს მოხსენებები სხვადასხვა გარემოსდაცვით თემებზე. კონფერენციის ბოლოს მოეწყო ეკოტური ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე. კონფერენციის მიზანი იყო სტუდენტების გარემოსდაცვითი ცნობიერების

ამაღლება, პასუხისმგებლობის გაზრდა, საკუთარი ქცევის შეფასება და შეცვლა გარემოს სასარგებლოდ.

- ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციამ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP)-ის მხარდაჭრით განახორციელა "ნორჩი რეინჯერის პროგრამა". აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ჩართული იყო ბორჯომის მუნიციპალიტეტის 5 სკოლა. "ნორჩი რეინჯერის" პროექტის ფარგლებში თითოეული საჯარო სკოლიდან შერჩეულმა ათმა მოსწავლემ გაიარა წინასწარ დაგეგმილი მარშრუტები რეინჯერთან ერთად, გაეცნენ რეინჯერის ყოველდღიურ საქმიანობას და უფლება-მოვალეობებს. მონაწილეობა მიიღეს რეინჯერის მიერ განხორციელებულ აქტივობებში, როგორიცაა ფერომონების მონტაჟი, ცხოველების კვლებზე დაკვირვება, მონიტორინგის განხორციელება ფოტოხაფანგების მეშვეობით, ლაშქრობის დროს საჭირო უნარ-ჩვევების განვითარება. 19 ივნისს ,,ნორჩ რეინჯერებს" გადაეცათ სერთიფიკატები და დაცული ტერიტორიების ბეჭდვითი მასალები. სერთიკატები გადასცა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარემ რატი ჯაფარიძემ. პროექტში მონაწილე ,, ნორჩმა რეინჯერებმა" დადეს ,,ნორჩ რეინჯერთა" ფიცი, ისაუბრეს რეინჯერთან გატარებულ საქმიანობების და მათი შთაბეჭდილებების შესახებ. პროექტი მნიშვნელოვანია გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისათვის, ასევე დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციისა და რეინჯერების საქმიანობის პროპაგანდისათვის.

- წარმატებით განხორციელდა პროექტი „ისწავლე და ასწავლე დაცულ ტერიტორიებთან ერთად". რისთვისაც შერჩეული იქნა თბილისი ორი სკოლა, 149-ე საჯარო სკოლა და 42-ე ვეკუას სახელობის

სკოლა. პროექტი გულისხმობდა ცნობიერების ამაღლებას და ინფორმაციის გავრცელებას საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე და გარემოსდაცვით საკითხებზე.

- 2014 წლის 18 ოქტომბერს ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებს და ჭაჭუნას აღკვეთილს ესტუმრნენ თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის X-XI კლასის მოსწავლეები და პედაგოგები. მათ დაათვალიერეს მუზეუმი, სააქტო დარბაზში აჩვენეს პრეზენტაციები, ხოლო შემდეგ მოეწყო ეკოტური ჭაჭუნას აღკვეთილში.

ამ ღონისძიების შემდგომ ქართულ-ამერიკული სკოლის მოსწავლეებმა დაამუშავეს თემები და პრეზენტაციები ჭაჭუნას აღკვეთილზე და ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე. 10 დეკემბერს ჩატარდა კონფერენცია, სადაც მოწვეული იყო სტუმარი დაცული ტერიტორიების სააგენტოდან მარიამ თათარაშვილი. გამოვლინდა საუკეთესო სამი ნამუშევარი. გამარჯვებულებს გადაეცათ დიპლომები.

- 2014 წლის 18 ნოემბერს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში შედგა თემატური განათლების ჯგუფის პირველი სამუშაო შეხვედრა NBSAP-ის გეგმის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით. სამუშაო ჯგუფში მონაწილეობდნენ სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მხრიდან ჩართული იყო დაგეგმვისა და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი მარიამ თათარაშვილი.

- 2014 წლის 22 ნოემბერს ჩატარდა კონფერენცია საქართველოს ახალგაზრდა ბიოლოგთა ასოციაციასთან თანამშრომლობით სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით. ახალგაზრდები გაეცნენ ადამიანის უფლებებს გარემოს დაცვის სფეროში. მონაწილეებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები და კონფერენციის ბოლოს გადაეცათ სერტიფიკატები. სულ მონაწილეობდა 15 სტუდენტი და მოსწავლე.

- სულ 2014 წლის მდგომარეობით ლექცია-სემინარი გარემოს დაცვისა და დაცული ტერიტორიების მნიშვნელობის თემატიკით ჩაუტარდა 67 799-მდე მოსწავლესა და სტუდენტს, მოეწყო 90 მწვანე აქცია, 159 დასუფთავების აქცია. სულ გარემოსდაცვით აქტივობებში ჩაერთო 81 526 ადამიანი.



- ეკო-საგანმანათლებლო საქმიანობაში მონაწილეთა რაოდენობა დაცული ტერიტორიების მიხედვით ასე გადანაწილდა:



ეკო-ტურიზმი

- დაცული ტერიტორიების სააგენტოს მთავარ პრიორიტეტს ბიომრავალფეროვნების დაცვა-შენარჩუნება წარმოადგენს, თუმცა, ამავდროულად მნიშვნელოვანია ეკოტურიზმის განვითარება, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა ეკოტურისტულ საქმიანობაში და მათთვის დამატებითი შემოსავლის წყაროს შექმნა. სწორედ ამიტომ, ტურისტული სეზონისათვის მზადყოფნა და ვიზიტორთა სრულყოფილი მომსახურებით უზრუნველყოფა სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

ამ მხრივ 2014 წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

➢ **ახალი ეკო-ტურისტული პროდუქტები**

<u>ავტომატარებელი პრომეთეს მღვიმეში</u> - მიმდინარე წელს იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებზე, პრომეთეს მღვიმეს დაემატა ახალი სერვისი ავტომატარებლით მომსახურება, რაც ხელს შეუწყობს ვიზიტორთა კომფორტულ გადაადგილებას და მათი კმაყოფილების დონის ზრდას.

მიმდინარე წლის აქტიური ტურისტული სეზონიდან ფუნქციონირება დაიწყო გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) პროექტის ფარგლებში შემუშავებულმა პროდუქტებმა, კერძოდ:

<u>ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე</u> სრულად აღიჭურვა და ოფიციალურად გაიხსნა ბუნების შემეცნებითი ბილიკი სასკოლო ჯგუფებისათვის, როჭოს ჩანჩქერისა და მაჭის ციხის ბილიკები. ბილიკებზე განთავსდა სპეციალური საინფორმაციო და მანიშნებელი ნიშნები, შემუშავდა შესაბამისი ბროშურები და რუკები.

<u>თბილისის ეროვნულ პარკში</u> საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოეწყო სამი სხვადასხვა სირთულის ველობილიკი. ველობილიკები პირველი პროდუქტია თბილისის ეროვნული პარკისათვის, რომელიც მიმდინარე წლის 29 ივნისს ოფიციალურად გაიხსნა. აღნიშნული პროდუქტის შემუშავების შედეგად

<u>ვაშლოვანის ეროვნულ პარკში</u> მოეწყო ორი საინტერპრეტაციო გეოლოგიური ბილიკი, რომელიც პირველი თემატური - გეოლოგიური ბილიკია საქართველოში.

<u>მტირალას ეროვნულ პარკში</u> პირველად საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე მოეწყო და განვითარდა სრულიად ახალი სათავგადასავლო აქტივობა - Zip line და კანიონინგი. აღნიშნული პროდუქტების შედეგად ეროვნული პარკს საშუალება ექნება ვიზიტორებს მეტად მრავალფეროვანი მომსახურებები შესთავაზოს, რაც განაპირობებს მათი რაოდენობის ზრდას.

კოლხეთის ეროვნული პარკიში განვითარდა სანიჩბოსნო აქტივობა - Eco paddling, რაც გულისხმობს კაიაკებით მდინარე ფიჩორზე გადაადგილებას.

დაცულ ტერიტორიებზე ზემოთხსენებული პროდუქტების არსებობა ხელს შეუწყობს ვიზიტორთა რაოდენობის ზრდას, მიზნობრივი ჯგუფებისათვის მათ მოთხოვნილებებზე მორგებული

პროდუქტების შეთავაზებას და რაც მთავარია გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას და ქვეყნის ბუნებრივი მემკვიდრეობის შენარჩუნებას.

- **შეხვედრები ტურიზმის მიმართულების სტუდენტებთან**

2014 წლის განმავლობაში აკადემიურ დაწესებულებებში მოეწყო შეხვედრები ტურიზმის მიმართულების სტუდენტებთან დაცული ტერიტორიების შესახებ. აღნიშნული შეხვედრები ჩატარდა ორ: გრიგოლ რობაქიძისა, საქართველოს ტექნიკურ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტებში. აღნიშნულ შეხვედრებში, რომლებიც გაიმართა პრეზენტაციისა და კითხვა-პასუხის რეჟიმში, მონაწილეობა მიიღო 100-მდე სტუდენტმა.

- **გამოფენები**

დაცული ტერიტორიების სააგენტო წარდგა ადგილობრივ, თბილისისა (11 – 12 აპრილი 2014 წ) და ბათუმის (2 – 3 მაისი 2014 წ) ტურიზმის საერთაშორისო გამოფენებზე. ასევე, მიმდინარე წლის 11-12 აპრილს პოლონეთში, ქალაქ კიელცეში საერთაშორისო ტურიზმის გამოფენაზე.

საერთაშორისო და ადგილობრივ გამოფენებზე, ვიზიტორთა დაინტერესებისა და მოზიდვის მიზნით, დაცული ტერიტორიების სააგენტომ წარადგინა საქართველოს ბუნებრივი მემკვიდრეობა - დაცული ტერიტორიები და არსებული ტურისტული სერვისები. დაცული ტერიტორიების პოპულარიზაცია და ცნობადობის ზრდა კი განაპირობებს წლიდან წლამდე ვიზიტორთა რაოდენობის ზრდას, რაც ნათლად ჩანს არსებულ სტატისტიკურ მონაცემებში.

- **სტატისტიკა**

ვიზიტორთა რაოდენობა

2014 წლის განმავლობაში საქართველოს დაცულ ტერიტორიებს 417,828 ვიზიტორი ესტუმრა, რაც წინა, 2013 წლის მონაცემებთან შედარებით 16%-ით არის გაზრდილი. აქედან საქართველოს მოქალაქეა 273,968 ვიზიტორი, ხოლო უცხო ქვეყნის ვიზიტორთა რაოდენობა კი - 143,860 გასულ წელთან შედარებით გაზრდილია როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქე ვიზიტორთა რაოდენობა.

ვიზიტორთა რაოდენობის ზრდის პარალელურად გაზრდილია შემოსავლების რაოდენობაც. წლის მონაცემებით, წინა წელთან შედარებით, შემოსავლების 33%-იანი ზრდა დაფიქსირდა 1,318,092 ლარი შეადგინა.



დიაგრამა 1. ვიზიტორთა რაოდენობა საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე 2013-2014 წწ



დიაგრამა 2. ვიზიტორთა რაოდენობა საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე 2007-2014 წწ



დიაგრამა 3. შემოსავლების რაოდენობა საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე 2013-2014 წწ



დიაგრამა 4. შემოსავლების რაოდენობა საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე 2007-2014 წწ

უცხო ქვეყნის მოქალაქე ვიზიტორთა სტატისტიკა

- გასულ წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად არის გაზრდილი უცხო ქვეყნის მოქალაქე ვიზიტორთა რაოდენობა და 2013 წელთან შედარებით ზრდამ 41% შეადგინა (101,0785). მოცემული ტენდენცია ჩვენი ქვეყნის დაცული ტერიტორიების საერთაშორისო დონეზე ცნობადობის ზრდაზე მიუთითებს.



დიაგრამა 3. საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქე ვიზიტორთა რაოდენობა 2013-2014 წწ

- უცხო ქვეყნის მოქალაქე ვიზიტორთა პირველი ხუთეული გადანაწილდა შემდეგნაირად: ისრაელი, პოლონეთი, უკრაინა, რუსეთი და გერმანია. უკრაინის მოქალაქე ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა მნიშვნელოვანწილად განაპირობა ავიაკომპანია Wizz Air-ის შემოსვლამ საქართველოში, რომელიც ახორციელებს პირდაპირ რეისებს ქ. ქუთაისიდან უკრაინის მიმართულებით. ასევე აღსანიშნავია, რომ 2013 წლის განმავლობაში პირველ ხუთეულს წარმოადგენდნენ შემდეგი ქვეყნები: უკრაინა, რუსეთი, გერმანია, აზერბაიჯანი და ისრაელი, რაც მიუთითებს აზერბაიჯანის მოქალაქე ვიზიტორების პოლონეთის მოქალაქეებით ჩანაცვლებაზე.



დიაგრამა 4. უცხო ქვეყნის მოქალაქე ვიზიტორთა რაოდენობა დაცულ ტერიტორიებზე 2014წ.

2. იურიდიული სამსახური

დაცული ტერიტორიების საგენტოს დებულების თანახმად იურიდიული სამსახურის ფუნქციებს წარმოადგენს: სააგენტოს სისტემის სამართლებრივი მომსახურება, სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებული ნორმატიული აქტების, პროექტების, სხვა დოკუმენტებისა და სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებულ დავებზე სამართლებრივი დასკვნების მომზადება. იურიდილიული სამსახური სააგენტოს წარმოადგენს სასამართლო დავებში.

2014 წელს იურიდიული სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის ჩამონათვალი მოიცავს შემდეგს:

კანონშემოქმედებითი საქმიანობა

2014 წლის განმავლობაში იურიდიული სამსახური აქტიურად იყო დაკავებული კანონშემოქმედებითი საქმიანობით, რომელიც მოიცავს როგორც ახალი კანოპროექტების, ასევე არსებულ კანონებში ცვლილებების მომზადებას. 2014 წელს საერთო ჯამში იურიდიულმა სამსახურმა მოამზადა 1 ახალი საკანონმდებლო ინიციატივა და 7 ცვლილება უკვე არსებულ კანონმდებლობაში. ყველა ინიციატიავამ წარმატებით გაიარა საპარლამენტო მოსმენები და დამტკიცდა პლენარულ სხდომაზე.

კანონქვემდებარე აქტების მომზადება

კანონშემოქმედებითი საქმიანობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია კანონქვემდებარე აქტების მომზადება, რომლებიც არეგულირებენ სააგენტოს საქმიანობას. 2014 წელს იურიდიულმა სამსახურმა მოამზადა საქართველოს მთავრობის 11 კანონქვემდებარე აქტის პროექტი და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 4 კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტი.

საგრანტო ხელშეკრულებები

2014 წელს იურიდიული სამსახური აქტიურად იყო ჩართული დონორ ორგანიზაციებთან დასადები ხელშეკრულებების პროექტების სამართლებრივ შემოწმებაში, მათი საქართველოს

კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის კუთხით. ამ მიზნით 2014 წელს იურიდიული სამსახურმა განიხილა 5 საგრანტო ხელშეკრულება 2 მემორანდუმი.

სასამართლო წარმომადგენლობა

2014 წელს იურიდიული სამახური სააგენტოს სახელით მონაწილეობდა სასამართლოში ჩატარებულ სამართლებრივ პროცესებში. სულ გასული წლის მონაცემებით იურიდიულმა სამსახურმა მონაწილეობა მიიღო 12 სასამართლო პროცესში, სადაც ერთი პროცესი წააგო, ერთი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, 5 მოიგო და 5 სასამართლო პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

3. ინსპექტირების სამსახური

ინსპექტირების სამსახურის მიერ 2014 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის ანგარიში

დაცული ტერიტორიების სააგენტოს დებულების მიხედვით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, ინსპექტირების სამსახურის მიერ ხორციელდება სააგენტოს ცენტრალური აპარატისა და ტერიტორიული ადმინისტრაციების მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის კონტროლი. სამსახურს ასევე ევალება მოსამსახურეთა მხრიდან დისციპლინისა და კანონიერების დარღვევის სამსახურებრივი ფაქტების გამოვლენა.

2014 წლის განმავლობაში ინსპექტირების სამსახურის მიერ განხორციელებული შემოწმებების შედეგად გამოვლინდა დარღვევები, საიდანაც გამოსაყოფია:

ხე-ტყის უკანონო ჭრის ფაქტები

ხე-ტყის უკანონო ჭრა წარმოადგენს მნიშვნელოვან კანონდარღვევას, რომლის აღსაკვეთად დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომელთა ძალისხმევა არის მიმართული, რომელმაც პოზიტიური შედეგები გამოიღო ამ კუთხით, კერძოდ საგრძნობლად შემცირდა ხე-ტყის უკანონოდ მოპოვების ფაქტები დაცულ ტერიტორიებზე. მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, ეს პრობლემა კვლავ აქტუალური რჩება.

2014 წელს ინპექტირების სამსახურმა გამოავლინა ხე-ტყის უკანონო ჭრის ორი ფაქტი, კერძოდ: ბორჯომ-ხარაგაულის და თბილისის ეროვნულ პარკებში გამოვლინდა 28 ძირი უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყე, რომლის მოცულობამ შეადგინა 6 მ3, ხოლო გარემოზე მიყენებულმა ზიანმა - 1367 ლარი.

მოსამსახურეთა დისციპლინური გადაცდომის ფაქტები

2014 წლის განმავლობაში, ინსპექტირების სამსახურის მიერ, სისტემატურად ხორციელდებოდა შემოწმებები თანამშრომელთა დისციპლინური გადაცდომების გამოვლენის კუთხით. რეიდები ეწყობოდა როგორც გეგმიურად, ისე მოულოდნელად, ღამის და დილის ადრეულ საათებში. გატარებული ღონისძიებების შედეგად, აღმოჩენილი ფაქტების საფუძველზე, 30 თანამშრომლის მიმართ გამოყენებულია სააგენტოს შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინარული პასუხისმგებლობის სხვადასხვა ზომა, მათ შორის ორი თანამშრომლის მიმართ, უკანონო ჭრის ფაქტთან დაკავშირებით, გამოყენებულია - სამსახურიდან განთავისუფლება, ხოლო დოკუმენტაცია გადაეგზავნა სამართალდამცავ ორგანოებს.

4. პროექტების მართვა და საერთაშორისო ურთიერთობები

საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის სამსახური ზედამხედველობას და კოორდინაციას უწევს დაცულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროექტებს; მოიზიდავს ფინანსებს დაცულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროექტების განსახორციელებლად; განსაზღვრავს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან თანამშრომლობის პრიორიტეტულ მიმართულებებს. სამსახური ასევე უზრუნველყოფს სააგენტოს თანამშრომლობას საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის ორგანოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ამზადებს წინადადებებს პროგრამებზე ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

WWF/BMZ/დაცული ტერიტორიების სააგენტო/აზერბაიჯანის მთავრობა - ჯეირნების რეინტროდუქცია

2014წელს განხორციელებული ღონისძიებებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია აზერბაიჯანიდან 18 ჯეირნის რეინტროდუქცია ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე. უნდა ითქვას, რომ ჯეირნები ადვილად შეეწყვნენ ადგილობრივ გარემო პირობებს. შემოყვანილი ჯეირნების მონიტორინგი მიმდინარეობს სპეციალური სენსორული GPS საყელოების მეშვეობით. პროექტი განხორციელდა მსოფლიო ბუნების დაცვის ფონდის (WWF) დახმარებით.

ევროკავშირი/დაცული ტერიტორიების სააგენტო - თვინინგის პროექტი

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული თვინინგის პროექტის ფარგელბშიდაიწყო მუშაობა მტირალას ეროვნული პარკისა და აჯამეთის აღკვეთილის მენეჯმენტის გეგმების შემუშავებაზე. მოეწყო სასწავლო ტურები ჩეხეთსა და ავსტრიაში. მიმდინარე წლის მარტის თვეში მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა განახლებული სახელმძღვანელო პრინციპები მენეჯმენტის გეგმის შემუშავებისათვის. მოეწყო საჯარო განხილვები ლაგოდეხისა და იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმებისათვის. შესაბამისი ექსპერტის მიერ შემუშავდა ტურიზმის კონცეფცია იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიებისათვის. აპრილის თვეში გაიმართა ორი სამუშაო შეხვედრა ევროკავშირის კანონმდებლობის გაცნობასთან დაკავშირებით თბილისსა და ბათუმში. სექტემბერში გაიმართა კონფერენცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაკავშირებით, რომელშიც მონაწილეობდნენ დაინტერესებული სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

CNF/დაცული ტერიტორიების სააგენტო - ხუთი დაცული ტერიტორიისათვის საოპერაციო ხარჯების თანადაფინანსება

2014 წელს საქართველოს ხუთ დაცულ ტერიტორიაზეკავკასიის ბუნების ფოდნის დახმარებით მიმდინარეობდა საოპერაციო ხარჯებისა და 35 პროცენტიანი სახელფასო დანამატის გაცემა. მიმდინარე წლის თებერვალში, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და კავკასიის ბუნების ფონდს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს 2014-2016 წლებში ლაგოდეხის დაცული ტერიტორიებისათვის საოპერაციო ხარჯების დაფარვას.

მიმდინარე წლის მაისის თვეში, დაცული ტერიტორიების სააგენტოს, „კავკასიის ბუნების ფონდსა" და „საქართველოს ბანკს" შორის საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდა. ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს ბანკის „მომავლის ფონდი" კავკასიის ბუნების ფონდისთვის 2014 წელს 75.000 აშშ დოლარის ოდენობის გრანტს გამოყოფს, რომელიც საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარებას მოხმარდება, გაუმჯობესდება მენეჯმენტი და დაიფარება საოპერაციო ხარჯები.

მიმდინარე წლის ივნისში, დაცული ტერიტორიების სააგენტოს, პროკრედიტ ბანკსა და კავკასიის ბუნების ფონდს შორის გაფორმდა შემოწირულობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც პროკრედიტ ბანკი ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით კავკასიის ბუნების ფონდს გადასცემს 10 000 ლარს.

მიმდინარე წლის ივნისში, დაცული ტერიტორიების სააგენტოს, ქართუ ფონდსა და კავკასიის ბუნების ფონდს შორის ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომლის მიხედვითაც ფონდი ქართუ გამოყოფს 170 000 ლარს ლაგოდეხის ადმინისტრაციული შენობის სახურავის შესაკეთებლად და შავი კლდეების ტბის სამდღიანი ბილიკის ვიზიტორთა თავშესაფრის ასაშენებლად.

ზურმუხტის ქსელის შექმნა საქართველოში - II ფაზა

ზურმუხტის ქსელი წარმოადგენეს ეკოლოგიურ ქსელს, რომელიც შეიქმნა ევროსაბჭოს მიერ ბერნის კონვენციის განხორციელების მიზნით „განსაკუთრებული კონსერვაციული ღირებულებების მქონე ტერიტორიებისათვის". ამ ეტაპზე ევროპის საბჭოს და ევროკავშირის მხარდაჭერით საქართველო მონაწილეობს ერთობლივ პროექტში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისათვის, რომლის მიზანია ზურმუხტის ქსელისთვის სპეციალური კონსერვაციული ღირებულების მქონე ტერიტორიების იდენტიფიცირება, უნიკალური ჰაბიტატების დაცვისა და ევროკავშირის მოთხოვნებთან ჰარმონიზაციის ხელშეწყობის მიზნით.

პროექტის მნიშვნელობა დიდია, რადგან მონაცემთა ბაზა და მომზადებული რუკები გამოყენებული იქნება დაცული ტერიტორიების გეგმარების და განვითარებისთვის. პროექტის საბოლოო შედეგია სახელმწიფოს მხრიდან მიღებული და შეთანხმებული კანდიდატი ტერიტორიების დასამტკიცებლად წარდგენა ევროპის საბჭოში. პროექტი დასრულდება 2016 წელს.

BMZ/KfW/WWF - ჯავახეთის ეროვნული პარკის შექმნა საქართველოში

2014 წელს კვლავ მიმდინარეობდა 2006 წელს ხელმოწერილი პროექტი „ჯავახეთის ეროვნული პარკის შექმნა საქართველოში“, რომელიც გულისხმობს ჯავახეთის რეგიონში ეროვნული პარკისა და ხუთი აღკვეთილის შექმნას, ცალკეული სოციალური პროექტების განხორციელებასა და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის განვითარებას.

- ✓ განხორციელდა მეფუტკრეობისა და ტურიზმის განვითარების პროექტები. გარემონტდა მეფუტკრეთა ასოციაციის შენობა და ჩატარდა ტრენინგები ასოციაციის წევრებისათვის; მოეწყო საპიკინიკე და საკემპინგე ადგილები, ცხენების გაქირავების პუნქტი. მომზადდა 5 ტურისტული ადგილობრივი გიდი;
- ✓ მოეწყო სამი სასტუმრო სახლი (ორი სოფელ სულდაში, ერთი სამებაში);
- ✓ 7 სოფლისთვის მოხდა სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია;
- ✓ დასრულდა ადმინისტრაციული და ვიზიტორთა ცენტრისა და მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე დასრულდა სასაზღვრო კოშკურის რეაბილიტაცია;
- ✓ ჩატარდა პროგრამით გათვალისწინებული ყველა ტრენინგი;
- ✓ მოეწყო ქალთა ტრადიციული რეწვის სახელოსნო;
- ✓ შემუშავდა ტრანსსასაზღვრო მონიტორინგის გეგმის და მოეწყო საგამოფენო დარბაზი;
- ✓ ქართულდაინგლისურენებზეგამოიცატურისტული ბროშურა, რომელშიც მოცემულია ტურისტული ბილიკები და რუკა.

USAID - ბუნებრივი რესურსების ინტეგრირებული მართვა საქართველოს წყალშემკრებ აუზში

USAID-ის 4-წლიანი პროგრამა „ბუნებრივი რესურსების ინტეგრირებული მართვა საქართველოს წყალშემკრებ აუზში“ დაიწყო 2011 წელს. პროგრამის მიზანია ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის გზით, ქვეყნის მოსახლეობის ყოფის გაუმჯობესება. ქმედებათა ნაწილი განხორციელდა დაცულ ტერიტორიებთან მიმართებაში. პროექტის ფარგლებში მოეწყოეკო-ბანაკი ყაზბეგისა და თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე (ყაზბეგში - 26 კაცი - 10 000 დოლარი, თუშეთში - 24 კაცი - 8 000 დოლარი). პროექტის მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში მოეწყო თუშეთის ქუეს გადასახედი. ლაგოდეხის დაცული ტერიტორიებისათვის დაიწყო საძოვრების მენეჯმენტის გეგმის შემუშავება. ვაშლოვანის დაცულტერი ტორიებზე მოეწყო ეკო-საგანმანათლებლო მოედანი.

US/DOI - ტრენინგები დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომელთათვის

დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომლებს, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩაუტარდათ ტრენინგები თემაზე „დაცული ტერიტორიების ეფექტური მართვა“.

GEF/UNDP - აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მათი მართვის დახვეწა

2014 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა GEF/UNDP-ის მიერ დაფინანსებული პროექტის „აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მათი მართვის დახვეწა“ დოკუმენტზე მუშაობა. პროექტის მიზანია საქართველოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დაცული ტერიტორიების მართვის დახვეწა, ბიოგეოგრაფიული საზღვრების გაფართოება და ურთიერკავშირის განმტკიცება უნიკალური კოლხური ტყეების (ზომიერად ნოტიო ტყეების) უკეთ დასაცავად. 2014 წელს ხელი მოეწერა პროექტის დოკუმენტს, შეირჩა პროექტის დირექტორი და ოქტომბრის თვიდან დაიწყო პროექტის განხორციელება. დეკემბის თვეში ჩატარდა საწყისი სამუშაო შეხვედრა, რომლის დროსაც მოხდა პროექტის წარდგენა დაინტერესებული მხარეებისათვის და 2015 წლის სამუშაო გეგმის გაცნობა.

საპროექტო განაცხადები

UNDP/GEF-ის მიერ გამოცხადებული მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში გაკეთდა განაცხადი შემდეგ პროექტებზე:

- ✓ მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში მოეწყო პროექტის - ეკოტურიზმის განვითარება ნინიგორის თემშიშედეგების გაცნობა. პროექტის ფარგლებში ნინიგორის თემის წარმომადგენლებისაგან დაფუძნდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ნინოსხევი“. მოეწყო ეკო-საგანმანათლებლო ბილიკი. ასევე ტურისტული მარშრუტის დასაწყისში, მარკეტინგულად მომგებიან ადგილას, მოეწყო სუვენირების დახლი. დაინერგა ბიომრავალეროვნებისა და ბრაკონიერობის მონიტორინგის სისტემა;
- ✓ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის მიერ დაიწყო კოლხური ხოხბის პოპულაციების აღდგენის პროექტი;
- ✓ გაეროს განვითარების პროგრამის მცირე გრანტების ფარგლებში, თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე მოეწყო ჰოსტელი და ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგები.

CzDA/ISCA - იმერეთის მღვიმეების მართვის გაუმჯობესება

2014 წელს, ჩეხეთის განვითარების სააგენტოსაგან მივიღეთ საბოლოო თანხმობა იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებზე ახალი პროექტის განხორციელებაზე, რომელიც გულისხმობს მღვიმეებში სპელეოთერაპიისა და მონიტორინგის განვითარებას. პროექტის ფარგლებში ნოემბრის დასაწყისში განხორციელდა ჩეხი ექსპერტების პირველი ვიზიტი და მღვიმეებში აპარატურის დამონტაჟება.

EU/ClimaEast/UNDP - ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე საძოვრების მდგრადი მართვის ხელშეწყობა

2014 წელს გამოცხადდა ტენდერი ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ორი ავტომატური მეტეოროლოგიური სადგურის შეძენის თაობაზე და წლის ბოლოს მოხდა მათი შესყიდვა. აღნიშნული სადგურების მეშვეობით შესაძლებელი იქნება ყველანაირი კლიმატური პარამეტრის გაზომვა. ასევე ვაშლოვანის საძოვრებზე განხორციელდა ნახშირბადის დაგროვების ინვენტარიზაცია.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციასა/დაცული ტერიტორიების სააგენტო - ერთობლივი თანამშრომლობა

დასრულდა გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) პროექტის „საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში ლაგოდეხის, თბილისის, ვაშლოვანის, მტირალას და კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე ახალი ტურისტული პროდუქტების დანერგვის პროცესი. აპრილის თვეში გაიმართა პროექტის დასკვნითი კონფერენცია და ახალი ტურისტული პროდუქტების წარდგენა.

ჯანმრთელობის დაზღვევა

2014 წელს კვლავ გრძელდებოდა სააგენტოს ტერიტორიული ადმინისტრაციების თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევა კავკასიის ბუნების ფონდის მხარდაჭერით. აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმება ძალზე მნიშვნელოვანია დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომლებისათვის, ვინაიდან ადრე ნებისმიერი სახის დაზიანებაზე ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებაზე მათ თვითონ უწევდათ თანხის გადახდა. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ კი დაზღვევის თანხის ანაზღაურება ხორციელდება კავკასიის ბუნების ფონდის მიერ. სულ ამ პროექტზე კავკასიის ბუნების ფონდის მიერ გაღებული იქნა 67 850 ევრო.

TJS/დაცული ტერიტორიების სააგენტო - ერთობლივი თანამშრომლობა

დასრულდა ახალ ვებ-გვერდზე მუშაობა 2014 წელს. TJS-ისმიერ ტენდერის საფუძველზე შეირჩა კომპანია „ოპტიმუსი“, რომელიც ნერგავს ბუღალტრული აღრიცხვის და ბიუჯეტირების პროგრამას. ამ ეტაპზე შეძენილია სერვერი, რომელიც დამონტაჟდება სააგენტოს ცენტრალურ აპარატში.

2014 წლის თებერვლის თვეში, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე ტრანსსასაზღვრო გაერთიანებული სამდივნოს (TJS) პროგრამის ფარგლებში სამუშაო ვიზიტით სომხეთში იმყოფებოდა. შეხვედრის მიზანს ტრანსასასზღვრო თანამშრომლობის გაღრმავების საკითხებზე მსჯელობა და მომავალში ერთობლივი ღონისძიებების ჩატარების განხილვა წარმოადგენდა.

ტრანსსასაზღვრო გაერთიანებული სამდივნომ (TJS), გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან, დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან, ყაზბეგის მუნიციპალიტეტსა და რეგიონულ სამუშაო ჯგუფთან თანამშრომლობით, ყაზბეგის ეროვნული პარკის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით განახორციელა სპეციალური პროგრამა „ფინანსური თანამონაწილეობითი მიდგომა“. მიმდინარე წლის თებერვალის თვეში, ჩატარდა კონკურსი, რომელიც მოსახლეობაში სამეურნეო საკითხებთან დაკავშირებით დაგროვილი ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების გამოვლენას ითვალისწინებდა. დაფინანსდა ათი საუკეთესო იდეა.

2014 წლის გაზაფხულზე ჩატარდა ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები სააგენტოს ცენტრალური აპარატის თანამშრომლებისთვის.

ენერგოტრანსი/ბორჯომ ხარაგაულის ეროვნული პარკის - საკომპენსაციო ღონისძიებები

„შავი ზღვის რეგიონული ელექტროგადაცემის პროექტი“-ის ფარგლებში შეძენილ იქნა ორი პიკაპი მობილური სახანძრო მოწყობილობებით. აგრეთვე შეირჩა კომპანია, რომელიც დაიწყებს რეინჯერთა თავშესაფრის მშენებლობას. გამოცხადდა ტენდერი საკონსულტაციო ფირმის ასარჩევად, რომელმაც უნდა განახორციელოს საკომპენსაციო ღონისძიებები.

KfW/დაცული ტერიტორიების სააგენტო - ეკორეგიონის კონსერვაციის პროგრამა სამხრეთ კავკასია

2014 წლის აპრილში ხელი მოეწერა საკონსულტაციო კონტრაქტს „GFA Consulting Group“-თან, რომელიც განმახორციელებლად ტენდერის საფუძველზე შეირჩა. სექტემბრის თვეში გაიმართა საწყისი სამუშაო შეხვედრა. მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში დაცული ტერიტორიების სააგენტოს რამდენიმე თანამშრომელი დაესწრო IUCN-ის მიერ ორგანიზებულ მსოფლიო პრაკების კონგრესს. შეხვედრის ფარგლებში ქართულმა მხარემ მოაწყო ღონისძიება, სადაც დაინტერესებულ მხარეებს სხვადასხვა ორგანიზაციებიდან და ქვეყნებიდან გააცნო საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემა და არსებული მდგომარეობა. დაიწყო სხვადასხვა ფონური ინფორმაციის შეგროვება.

დაცული ტერიტორიები - მსოფლიო მემკვიდრეობის უბანი

მიმდინარე წლის აპრილის თვეში განახლდა მსოფლიო ბუნების მემკვიდრეობის ძეგლებად დაცული ტერიტორიების ჯგუფების წარდგენის პროცესი. შეხვედრაზე დაიგეგმა სტრატეგიული ნაბიჯები ცენტრალური კავკასიონისა და კოლხური ტყეების მსოფლიო ბუნების ძეგლებად წარსადგენ სიაში შესატანად. ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ჩასატრებლად მოხდა თანხების მოძიება. კოლხური ტყეების წარდგენა UNESCO-ს კომისიისთვის დაგეგმილია 2015 წლის პირველ ნახევარში.

ვიზიტი პოლონეთში

მიმდინარე წელს, პოლონური მხარის მოწვევის საფუძველზე, მოეწყო ქართული მხარის ვიზიტი პოლონეთის რესპუბლიკაში, გარემოს დაცვის სამინისტროს სატყეო და ბუნების დაცვის დეპარტამენტებში. ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებსა და პოლონურ ბიეშადის და ვიელკოპოლსკას ეროვნულ პარკებს შორის.

დაცული ტერიტორიებისათვის შესაძლებლობების გაძლიერება - ProPark

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გერმანიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დაცული ტერიტორიების ეფექტური მართვისთვის შესაძლებლობების გაძლიერების გეგმების შემუშავება“ სამუშაო ჯგუფი ეწვია. პროექტის პირველი ეტაპი სამიზნე ქვეყნებში დაცული ტერიტორიების მართვაში ჩაბმული თანამშრომლებისთვის ტრენინგების საჭიროებების შეფასებას ითვალისწინებს. მეორე ეტაპზე საქართველო შეირჩა როგორც სამიზნე ქვეყანა დადაიგეგმა ეროვნული გეგმის შემუშავება. აღნიშნული მიზნით საქართველოს რუმინული ორგანიზაცია ProPark-ის წარმომადგენლები ეწვივნენ და დაიწყო აღნიშნულ გეგმაზე მუშაობა.

ევრო-დიპლომა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებისათვის

2014 წლის მარტის თვეში, საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგში, ევროპის საბჭოს სამდივნოს ეგიდით სპეციალისტთა ჯგუფის შეხვედრა გაიმართა, რომლის მიზანს სხვადასხვა დაცული ტერიტორიებისათვის ევროპული დიპლომის მინიჭების შესახებ დისკუსია წარმოადგენდა. აღნიშნულ შეხვედრას დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე რატი ჯაფარიძე ესწრებოდა. შეხვედრაზე მოხდა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებისათვის ევროპული დიპლომის მინიჭების შესახებ ევროსაბჭოში განაცხადის შეტანისა და შემდგომი განხილვის საკითხზე მსჯელობა. სექტემბერში ევროსაბჭოს ორი ექსპერტი ეწვია ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებს, მათ შეისწავლეს ტერიტორია და 2015 წლის მარტის თვისთვის მოამზადებენ ანგარიშს აკმაყოფილებს თუ არა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები ევროპული დიპლომის მინიჭებისათვის ევროსაბჭოს მიერ დადგენილ კრიტერიუმებს.

„ეროვნული დაცული ტერიტორიების ქსელის მართვა და ბუნების პრაქტიკული კონსერვაცია“

ესტონეთის მთავრობასა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს შორის მოხდა შეთანხმება, რის საფუძველზეც დაიწყო პროექტი, რომლის მიზანია ესტონეთსა და საქართველოს შორის დაცული ტერიტორიების მართვის კუთხით გამოცდილების გაზიარება და სამომავლო საპროექტო წინადადების განსაზღვრა. 2014 წელს მოეწყო 3 გაცვლითი ვიზიტი. 2 ვიზიტი განხორციელდა ესტონეთში სექტემბერსა და ნოემბერში და 1 ესტონეთის მხარის ვიზიტი ოქტომბერში საქართველოში. აღნიშნული ვიზიტის მიზანი ესტონეთსა და საქართველოს შორის დაცული ტერიტორიების მართვის კუთხით გამოცდილების გაზიარება და სამომავლო საპროექტო წინადადებების განსაზღვრაა. პროექტის ფარგლებში კიდევ სამი გაცვლითი ვიზიტი იგეგმება.

GIZ - თუშეთის დაცული ტერიტორიები/ეროზიის კონტროლი

მიმდინარე წელს დაიწყო GIZ-ის მიერ დაფინანსებული ეროზიის კონტროლის პროექტი თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე, შეირჩა პროექტის განმახორციელებელი და აპრილის თვეში ჩატარდა პროექტის გახსნის შეხვედრა. ივლის-აგვისტოში თუშეთში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით ჩატარდა რამოდენიმე შეხვედრა საპილოტე პროექტის იდენტიფიცირების მიზნით. იგეგმება ერთობლივი პროექტები (ვეტერინარული მომსახურების გაუმჯობესება, ზამთრის სკოლა). საწყის ეტაპზე შეირჩა შენაქო ბიო-ფერმერული საქმიანობის წარმართვის მიზნით. ამავე დროს საჭიროებათა ანალიზის ჩატარების საფუძველზე დაიგეგმა რიგი ტრენინგებისა. პროექტის ექსპერტების მიერ ივლისში ჩატარდა 3-დღიანი ტრენინგი საძოვრების სწრაფი მონიტორინგის მეთოდოლოგიაში. ტრენინგს ესწრებოდნენ საძოვრების მართვის სფეროში გამოცდილი არასამთავრობო ორგანიზაციები, ასევე თუშეთის დაცული ლანდშაფტის და დაცული ტერიტორიების რეინჯერები. აგვისტოსა და სექტემბერში ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენებით მოხდა თუშეთში საძოვრების მდგომარეობის შეფასება. მოხდა ფონური ინფორმაციის მოძიება და შედეგების წარდგენა.

5. მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ორგანიზებას უწევს სააგენტოში და სააგენტოს ტერიტორიულ ადმინისტრაციებში მიმდინარე პროცესებისა და საქმიანობების (პროდუქტების) შესახებ საზოგადოების ინფორმირებას(მასობრივი კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით) და ახორციელებს სააგენტოს დებულებით გათვალისწინებულ ყველა სხვა უფლება-მოვალეობებს.

სარეკლამო ინფორმაცია კატალოგებში

დაცული ტერიტორიებისა და ეროვნულ პარკებში არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურისა და ასევე, მნიშვნელოვანი ბიომრავალფეროვნების პოპულარიზაციის მიზნით სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნდა სტატიები, ახალი ტურისტული პროდუქტის პოპულარიზაციისკენ მიმართული სარეკლამო ჩანართები და სხვა (National Geographic, Georgian Times, The Georgian, Holiday Inn, ფოკუსი, ცხელი შოკოლადი, მსოფლიო).

პრომეთეს მღვიმის სარეკლამო რგოლი

3 D ტექნოლოგიის გამოყენებით განხორციელდა სათაფლიის სარეკლამო კლიპის დამზადება. აღნიშნული კლიპი საქართველოს კინოთეატრებში 1 თვის მანძილზე ტრიალებდა ყველა კინოსეანსის დაწყების წინ და მაყურებელს მოუწოდებდა მოენახულებინათ სათაფლიის აღკვეთილი - მღვიმე და დინოზავრის ნაკვალევის საკონსერვაციო ტერიტორია.

გაცნობითი, საინფორმაციო და პრესტურები

საქართველოში არსებული ტუროპერატორი კომპანიებისათვის, ასევე ტელე და პრესის ჟურნალისტებისათვის, განხორციელდა საინფორმაციო-გასაცნობი და პრესტურები ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებსა და იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებზე. აღნიშნული ღონისძიებების მიზანს წარმოადგენდა ტურისტულ პროგრამებში დაცული ტერიტორიების ეკოტურისტული პროდუქციის დამატება და მათ მიერ არსებულ პროდუქტებზე ტურისტებისთვის ინფორმაციის მიწოდება.

ველოტურები დაცულ ტერიტორიებზე

www.apa.ge

საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების დამკვიდრებისა და ეროვნული პარკების პოპულარიზაციის მიზნით, მოყვარული ველოსიპედისტებისათვის ჩატარდა ველოტურები. ლაგოდეხში (აგვისტო), თუშეთში (სექტემბერი) და ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე (ნოემბერი). აღნიშნული ტურები გაშუქდა მედიაში.

საერთაშორისო ფოტოგამოფენა

გაეროს ჟენევის ოფისში ჩატარდა დაცული ტერიტორიების ამსახველი ფოტოგამოფენა. გამოფენას დაესწრნენ გაეროს ჟენევის ოფისის თანამშრომლები, საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები და სხვა საქართველოს დაცული ტერიტორიებით დაინტერესებული პირები/ორგანიზაციები. გამოფენა გახსნა დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარემ. გამოფენა ემსახურებოდა საქართველოს დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციას საზღვარგარეთ. მასში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ქვეყნის ელჩებმა, ასევე ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა.

საინფორმაციო-შემეცნებითი გადაცემები

მომზადდა 40 წუთიანი ტელეგადაცემა თუშეთის დაცული ტერიტორიების ცნობადობის ამაღლებისა და თუშეთის პოპულარიზაციის მიზნით. აღნიშნული გადაცემა გავიდა რუსთავი 2-ის ეთერით (გადაცემაში „მოგზაურობა გიო გაბუნიასთან ერთად“). თავად გადაცემაში მოთხრობილი იყო თუშეთის მთავარ ღირშესანიშნაობებზე და იმ ტურისტულ პოტენციალზე, რასაც რეგიონი ვიზიტორებს სთავაზობს.

ინტერაქტიული რუკა

შეიქმნა დაცული ტერიტორიების ინტერაქტიული რუკა, რომელზედაც დატანილია ყველა დაცული ტერიტორია და სხვა ტურისტული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ობიექტები: საოჯახო სასტუმროები, სასტუმროები, კვების ობიექტები, ტურისტული ბილიკები და სხვა. აღნიშნული ტურისტული რუკა ემსახურება დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა უფრო კომფორტულ გადაადგილებას ეროვნულ პარკებში და სერვისების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას.

სააგენტოს განახლებული ვებ-გვერდი

სააგეტოს ვებ-გვერდი 2014 წლის 6 თებერვალს განახლდა. მისი ფუნციებია: დაცული ტერიტორიების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა, დაინტერესებული მხარეებისათვის სსიპ-ის საქმიანობის გაცნობა, საზოგადოებაში ბიომრავალფეროვნების შესახებ ინტერესის გაღრმავება და ეკოტურიზმით ახალი მიზნობრივი ჯგუფების დაინტერესება.

საიტის სანავიგაციო სტრუქტურა მაქსიმალურად არის გამარტივებული ყველა ტიპის მომხმარებლისთვის. გვერდებზე გადასვლა არ საჭიროებს დამატებით ინსტრუქციას.

განახლებული ვებგვერდი ხელმისაწვდომია სხვადასხვა მოწყობილობებზე (პლანშეტებსა და მობილურებზე).

საიტზე წარმოდგენილია დაცული ტერიტორიების დეტალური მიმოხილვა, სსიპ-ის ფინანსური საქმიანობის გამჭირვალობა, სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, სსიპ-ის მიერ განხორციელებული საქმიანობის წარმოჩენა და შედეგების ანალიზი.

აუდიო გიდის პრეზენტაცია

აუდიო გიდი პრომეთეს მღვიმის ვიზიტორებს საშუალებას აძლევს ინდივიდუალურად გაეცნონ ინფორმაციას მღვიმის აღმოჩენის, არსებული დარბაზებისა და მღვიმური ფორმაციების შესახებ.

აუდიო გიდი არის მომსახურების ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული სახე მსოფლიოს სხვადასხვა ტურისტულად მიმზიდველ ობიექტებში, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის მიღებას სპეციალური მოწყობილობის საშუალებით და გარკვეულწილად გიდის ფუნქციასაც ასრულებს. პრომეთეს მღვიმეში ვიზიტორი სპეციალური მოსასმენი მოწყობილობის საშუალებით იღებს ინფორმაციას მღვიმის შესახებ. აუდიო გიდის უპირატესობა არის ის, რომ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ხუთ ენაზე, ხოლო სასურველ ნიშნულზე დაბრუნება შესაძლებელია სურვილისამებრ ნებისმიერ დროს.

პროექტი მწვანე არდადეგები

პროექტ „მწვანე არდადეგების“ფარგლებში რომლის მთავარი გზავნილი საზოგადოებისათვის არის „აღმოაჩინე, იმოგზაურე, შეინარჩუნე და ნუ დატოვებ ნარჩენებს - იზრუნე გარემოზე“, არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა. აღნიშნული პროექტის პრეზენტაცია ქ. ბათუმში 2014 წლის 19 აგვისტოს გაიმართა, სადაც სხვა მოწვეულ სტუმრებთან და დამსწრე საზოგადოებასთან ერთად მონაწილეობა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარემ, ბათუმის მერმა და აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ მიიღო.

მოიხატა კედელი ბათუმის ცენტრში 8 დაცული ტერიტორიის აღმნიშვნელი სიმბოლიკით; ახალგაზრდა მხატვრებმა მოლბერტზე დახატეს დაცული ტერიტორიების ხედები და პეიზაჟები. მოეწყო დასუფთავების აქცია ზღვის სანაპიროზე. ბათუმის ბულვარში განთავსდა დაცული ტერიტორიების სააგენტოს საგამოფენო სტენდი და მოეწყო ფოტოგამოფენა.

პირველი გასვლითი ტური კოლხეთის ეროვნულ პარკში მოეწყო. 50-ზე მეტმა მოხალისემ, ახალგაზრდა მწერლებმა და პოეტებმა კოლხეთის ეროვნული პარკი დაათვალიერეს და

პანტომით გაისერნეს, ასევე ფოთის ახალგაზრდა პოეტები და მწერლები ჩაერთვნენ ღონისძიებაში.

იმერეთის დაცული ტერიტორიები, კერძოდ პრომეთე და სათაფლიას მღვიმეები დევნილმა ახალგაზრდებმა მოინახულეს.

პროექტის ფარგლებში ველოტური გაიმართა ბორჯომ - ხარაგაულის ეროვნულ პარკში, აბასთუმანი - ზეკარი - საირმის მარშრუტით, სადაც მონაწილეობა ოცდაათმა ველოსიპედისტმა და სააგენტოს თავმჯდომარემ მიიღო.ასევე, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში დასუფთავების აქცია მოეწყო, სადაც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ტერიტორია პლასტიკური ბოთლებისგან, პოლიეთილენის პარკებისა და სხვა სახის საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან დაასუფთავეს, ასევე პროექტის ფარგლებში მოხდა მხარდაჭერა ერთ - ერთი ყველაზე ექსტრიმალური გუნდური შეჯიბრის „RED BULL GER GET IT “- ს .

აღნიშნული პროექტის ფარგლებში სამცხე-ჯავახეთში 2 დღანი მედია-ტური მოეწყო. ჟურნალისტებმა ბაკურიანი და ტაბაწყურის ტბის მიმართულებით კვადროციკლებით ექსტრემალურ პირობებში 25 კილომეტრიანი მონაკვეთი გაიარეს. ასევე, მედიის წარმომადგენლებმა ტაბაწყურის ტბის მიმდებარე ტერიტორია საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან, პოლიეთილენის პარკებისაგან, პლასტმასის ბოთლებისგან დაასუფთავეს. ჟურნალისტები დასუფთავების აქციაში მონაწილეობით, შეუერთდნენ პროექტს. მოეწყო ზიპლაინ ტური მტირალას ეროვნულ პარკში, სადაც აქტიურად ჩაერთვნენ მოლაშქრეები. ფოტო - ტური ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიაზეც მოეწყო, სადაც მონაწილეებმა გადაიღეს ლაგოდეხის ღირსშესანიშნაობები.

აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში სხვადასხვა სახის რეკლამა განთავსდა რადიოსა და ტელევიზიაში, დამზადდა ბანერი, სტიკერები, რომლითაც მანქანები და ველოსიპედები გაფორმდა, დაიბეჭდა მაისურები და კეპები, „მწვანე არდადეგების“ სიმბოლიკით.

ინფორმაციის გავრცელება

გავრცელდა პრესრელიზები სააგენტოს სოციალური ქსელის ოფიციალური გვერდის, ვებ-გვერდისა და საინფორმაციო ინტერნეტ პორტალების საშულებით. ასევე გაშუქდა ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა ტელევიზიების მეშვეობით.

6.ადმინისტრაციული სამსახური

ადმინისტრაციული სამსახური სააგენტოს სისტემის მაშტაბით ახორციელებს თანამშრომელთა საშტატო ნუსხის ადმინისტრირებას, საქმისწარმოების დასრულებული დოკუმენტაციის აღრიცხვას და დაარქივებას, სამსახურებრივ-საშტატო იარაღისა და საბრძოლო მასალის აღრიცხვის, თანამშრომელთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ საკითხების მომზადებას. სამსახური ასევე ორგანიზებას უწევს თანამშრომელთა და სტაჟიორთა შესარჩევ კონკურსებს და აწარმოებს თანამშრომელთა პირად საქმეებს.

თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსი

დასახული მიზნებისა და ამოცანების ეფექტურად შესრულებისათვის, აუცილებელია სწორი საკადრო პოლიტიკის ფორმირება, რომელიც სააგენტო დღემდე ახორციელებს. აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვან წილად განაპირობებს სააგენტოს სწრაფი ტემპებით განვითარებას და ხელს უწყობს ახალი ინოვაციური იდეებისა და ხედვების ჩამოყალიბებას. ამდენად სააგენტოში პერმანენტულად ცხადდება საჯარო კონკურსები, რომელიც მიმდინარეობს შეჯიბრობითობის პრინციპის დაცვით თანასწორუფლებიანობის პირობებში. კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტი ხდება სააგენტოს მნიშვნელოვანი რგოლი. 2014 წლის განმავლობაში ადმინისტრაციულმა სამსახურმა დაცული ტერიტორიების სისტემის მაშტაბით ჩაატარა საჯარო კონკურს 103 ვაკანტურ პოზიციაზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 2000 მდე კონკურსნტმა. საჯარო კონკურსის ყველა ეტაპი ჩატარდა გამჭირვალედ - საჯარო ხელმისაწვდომობის პირობებში. კონკურსთან დაკავშირებული დოკუმენტები განთავსებულია სააგენტოს ვებ-გვერდზე apa.gov.ge.

სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსი

სტაჟიორთა ინსტიტუტი სწორი საკადრო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რადგან სტაჟირება ხელს უწყობს თანამშრომლებს შორის ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბებას და ახალგაზრდა კადრების ზრდას. მნიშვნელოვანია, რომ დამატებითი ფინანსური დანახარჯების გარეშე, საფუძველი ეყრება ორმხრივად სასარგებლო თანამშრომლობას. სააგენტო ეხმარება სტაჟიორს პროფესიული ჩვევების ჩამოყალიბებაში და შემდგომში ხელს უწყობს მის დასაქმებას. სტაჟირების წარმატებულად გავლის შემთხვევაში სტაჟიორს ეძლევა შესაბამისი სერტიფიკატი, ხოლო ზოგიერთი მათგანი საქმდება სააგენტოს სისტემაში;

სტაჟიორთა შერჩევის მიზნით ადმინისტრაციული სამსახურის მიერ განხორციელდა შემდეგი აქტივობები: 2014 წლის განმავლობაში დაცული ტერიტორიების სააგენტოს ცენტრალურ აპარატსა და ტერიტორიულ ადმინისტრაციებში ჩატარდა შესარჩევი კონკურსი. სულ შემოვიდა 562 განაცხადი, კონკურსის შედეგად სააგენტოს სისტემაში დაინიშნა 17 სტაჟიორი. სააგენტო ყოფილი სტაჟიორების პერსონალური მონაცემები ინახება ადმინისტრაციულ სამსახურში და საჭიროების შემთხვევაში მოხდება მათი კანდიდატურების გამოყენება.

2014 წლების განმავლობაში გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები

- მომზადდა 247 ბრძანება - დანიშვნა-განთავისუფლების შესახებ;
- მომზადდა 426 ბრძანება - მივლინების შესახებ;
- მომზადდა 31 ბრძანება - დისციპლინური დასჯის შესახებ;
- მომზადდა 123 ბრძანება - შვებულების თაობაზე;
- მომზადდა 115 ბძანება - შორის შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის/შეჩერების შესახებ;
- მომზადდა 155 ბრძანება - შვებულების თაობაზე

ადმინისტრაციული საქმისწარმოება

- შემოსული წერილების რაოდენობა - 7880;
- გასული წერილების რაოდენობა - 3238;
- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე შემოვიდა 28 განცხადება - ყველა დაკმაყოფილდა;
- ცნობა სამუშაო ადგილიდან - 119.

საქმისწარმოების არქივი

- სააგენტოს მიერ სსიპ ეროვნული არქივიდან მოწვეულ იქნენ სპეციალისტები, სააგენტოს არქივის დამუშავებისა და მოწესრიგების მიზნით, ასევე შემუშავდა სააგენტოს ნომეკლატურა.

ახალი შინაგანაწესის შემუშავება და დანერგვა

- 2014 წელს შემუშავდა შიდა აუდიტის სამსახურთან ერთად ახალი შინაგანაწესი, სადაც გათვალისწინებულ იქნა, როგორც სააგენტოს ცენტრალური აპარატის, ასევე ტერიტორიული ადმინისტრაციების თანამშრომელთა შენიშვნები და წინადადებები.

სამსახურებრივი მოწმობების გაცემა

- გაიცა სამსახურებრივი მოწმობა 200-მდე თანამშრომელზე;

ცეცხლსასროლი იარაღების ადმინისტრირება

- იარაღის ადმინისტრირება: 2014 წ. განმავლობაში შსს სამინისტროსთან ცეცხლსასროლი იარაღების ჩამონათვალისა და მონაცემების ურთიერთშეჯერების შედეგად, აღმოიფხვრა საიდენტიფიკაციო მონაცემებში არსებული უზუსტობები. სააგენტოს ბალანსზე არსებული ზოგიერთი ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზაში არ ფიქსირდებოდა, შეყვანილ იქნა ჩამონათვალში. ამგვარად ადმინისტრაციული სამსახურის მიერ:
- შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში გასაგზავნად მომზადდა 100-მდე წერილი იარაღის მოწმობის გაცემა/გაუქმებასთან დაკავშირებით;
- ჩატარდა ცეცხლსასროლი იარაღების ინვენტარიზაცია და შეიქმნა მონაცემთა ახალი ბაზა იარაღის სახეობისა და საიდენტიფიკაციო მონაცემების მითითებით;
- შსს მომსახურების სააგენტოსთან თანამშრომლობის შედეგად, გასწორდა იარაღის საიდენტიფიკაციო მონაცემებში არსებული ხარვეზები და უზუსტობები, აგრეთვე სააგენტოს ყველა ცეცხლსასროლი იარაღი აისახა შსს მონაცემთა ბაზაში;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა სააგენტოსათვის გამოუყენებელი 91 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი;
- სააგენტოს ბალანსზე აყვანილი იქნა 43 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი.

ჯანმრთელობის დაზღვევის ადმინისტრირება

- სადაზღვევო კომპანიაში გაიგზავნა 150-მდე თანამშრომელების მონაცემები ჯანმრთელობის დაზღვევასთან დაკავშირებით.

7. ეკონომიკური სამსახური

ეკონომიკური სამსახური უზრუნველყოფს ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების დაცვას, ახორციელებს ცენტრალური აპარატისა და ტერიტორიული სამსახურების ფუნქციონირების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას. სამსახური ასევე ორგანიზებას უწევს სისტემაში სახელმწიფო შესყიდვებს, ახორციელებს საბიუჯეტო, საფინანსო და საბუღალატრო საქმიანობას.

სახელმწიფო ბიუჯეტი

2014 წლისათვის დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 10,128,400 ლარი, 2013 წელს 10,296,800 ლარი, 2012 წელს - 12,451,400 ლარი, ხოლო 2011 წელს - 10,156,700 ლარი.

2014 წელს ბიუჯეტში ცალკე პროექტით იყო გათვალისწინებული ,,ოკაცეს კანიონის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება''. ამ პროექტზე გამოყოფილმა საბიუჯეტო დაფინანსებამ 1 მილიონი ლარი შეადგინა, ასევე ,,ბუნების დაცვის პროგრამა „სამხრეთი კავკასია–საქართველო–ჯავახეთის ეროვნული პარკის შექმნა საქართველოში“ (გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი)'' 3 მილიონი ლარი, რომელიც დასრულდა 2014 წელს.

ტენდერები

2014 წლის განმავლობაში ეკონომიკურმა სამსახურმა გამოაცხადა 110 ტენდერი. აქედან შედგა 72, არ შედგა 24, უარყოფითი შედეგით დასრულდა 9, ხოლო 5 - შეწყდა. შესაბამისად შედგა გამოცხადებული ტენდერების 65%. გაფორმდა 410 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, ხოლო 2013 წელს 235 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება.

სააგენტოს საკუთარი შემოსავლები

დაცული ტერიტორიების სააგენტოს კანონმდებლობით შეუძლია საკუთარი შემოსავლების გამომუშავება. ეს შემოსავლები შეიძლება იყოს როგორც დაცულ ტერიტორიებზე, დაწესებული შესვლის გადასახადი, ისე სხვადასხვა სახის აღჭურვილობის გაქირავებით თუ საკუთარი ქონების კონცესიით მიღებული შემოსავალი. 2014 წელი საკუთარი შემოსავლების გამომუშავების კუთხით იყო საკმაოდ წარმატებული, შემოსავალმა შეადგინა 1,971,876 ლარი (აღნიშნული თანხა ასევე მოიცავს მარტვილის კანიონის ინფრასტრუქტურის დაფინანსების მიზნით სსიპ-გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გადმორიცხულ 500 ათას ლარს). 2013 წელს სააგენტოს

შემოსავალმა პირველად თავის ისტორიაში გადააჭარბა მილიონიან ზღურბლს და შეადგინა 1,023,643 ლარი.

ზოგადად შემოსავლების გამომუშავება აჩვენებდა საკმაოდ მნიშვნელოვან ზრდას უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში. მთავარი დატვირთვა მოდის პრომეთესა და სათაფლიას მღვიმეებზე, სადაც ერთხელ გაკეთებული ინვესტიციით, სახელმწიფო წარმატებით ახერხებს გაწეული ხარჯების ამოღებას.

,,კავკასიის ბუნების ფონდი''-ს (CNF) მიერ გამოყოფილი გრანტი

კავკასიის ბუნების ფონდი (CNF) 2007 წელს დაარსდა და მისი მთავარი მისია კავკასიის ეკო-რეგიონის დაცული ტერიტორიების ფინანსური მხარდაჭერით დაცვა-გაძლიერებაა. აღსანიშნავია, რომ CNF-თან ხელშეკრულებას ხელი 2010 წელს მოეწერა და დღემდე საკმაოდ პროდუქტიულად მიმდინარეობს.

2014 წელს ,,კავკასიის ბუნების ფონდი''-სა და სახელმწიფო ბიუჯეტის თანადაფინანსებიტ განხორციელდა თუშეთის ეროვნული პარკის, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის, მტირალას ეროვნული პარკისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურის სარემონტო და სამსენებლო სამუშაოები. ტერიტორიული ადმინისტრაციების საჭიროებისათვის შესყიდულია 5 პიკაპის ტიპის ავტომობილი ასევე სხვა საოფისე ინვენტარი. ტერიტორიული ადმინისტრაციის თანამსრომლებზე გაიცა ხელფასზე დანამატი. 2014 წელს საკასო ხარჯმა შეადგინა 835,863 ლარი.

ოკაცეს კანიონის ტურისტული ინფრასტრუქტურა

2014 წელს დასრულდა ,,ოკაცეს კანიონის ტურისტული ინფრასტრუქტურის'' სამშენებლო/სამონტაჟო სამუშაოები.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა ვიზიტორთა ცენტრის, ვანტური ბილიკების, საფეხმავლო ბილიკების, გამშვები პუნქტისა და საზოგადოებრივი საპირფარეშოს მშენებელობა. აღნიშნული პროექტი სააგენტოს მისცემს დამატებითი შემოსავლების გამომუშავების საშუალებას.

პროექტს ექნება მნიშვნელოვანი შედეგი - დასაქმებისა და რეგიონის პოპულარიზაციის თვალსაზრისით. კანიონსა და მის მიმდებარედ არსებულ სოფელ კინჩხის ჩანჩქერს აქვს პერსპექტივა მოკლე დროში გახდეს ამ რაიონის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ღირსშესანიშნაობა.